

ნიკო ჩიხლაძე

### ჩრდილოვანი ეკონომიკის რეგიონული გამოვლინებების საკითხისათვის

რეგიონული ეკონომიკა

სახელმწიფოს მიერ გატარებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება რეგიონული პოლიტიკის სწორი კურსის არჩევაა. ქართველი რეგიონალისტები სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ქვეყნისა და მისი რეგიონების ურთიერთობა და განვითარება სტრატეგიულად მთელისა და მისი ნაწილების ურთიერთობის ლოგიკას, პრინციპებს ემყარება. სწორედ, რეგიონებში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს დარგების განვითარებაზე არის დამოკიდებული მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობა.<sup>1</sup>

ბოლო წლებში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად წარმოაჩინა, რომ ცენტრალიზებული მართვისა და დაგეგმვის ინსტიტუტების გაუქმების შემდეგ სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისი სახელმწიფო რეგულირების პროგრესული ფორმებისა და მექანიზმების ჩამოყალიბების საჭიროებას წარმოშობს.

ჩრდილოვანი ეკონომიკის საერთაშორისო და მახასიათებელ თვისებებთან ერთად აუცილებელია აღინიშნოს რეგიონული სპეციფიკურობების შესახებაც. წლების განმავლობაში მათ განაპირობებდა მოცემული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა – საფინანსო-საკრედიტო სფეროში და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციების განვითარება, „ფილტრი ფირმების“ ჩამოყალიბება, ყალბი ანგარიშ-ფაქტურებით მანიპულირება, ექსპორტზე ორიენტირებულ სანედლეულო წარმოება, კონტრაბანდა, საბაჟო პროცედურების უხეში დარღვევები, არაკანონიერი თევზჭერა და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცენტრსა და რეგიონს შორის საფინანსო-ეკონომიკური კუთხით არსებული სპეციფიკის შესახებაც. როგორც ცნობილია, საქართველოს რეგიონების აბსოლუტური უმრავლესობა დოტაციურია, ანუ არსებობენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არასაბიუჯეტო ფონდებიდან ჩარიცხული ტრანსფერების ხარჯზე. წლების მანძილზე ტრანსფერების სისტემა, რომელიც ემყარებოდა არარეალურ რეგიონულ პროტექციონიზმს, მეცნიერულად დაუსაბუთებელ დებულებებს და ნორმებს, ფართო შესაძლებლობებს ქმნიდა ჩრდილოვანი ოპერაციებისათვის. ტრანსფერების განსაზღვრა-დაზუსტება ხშირად ეფუძნებოდა სუბიექტივიზმს და პოლიტიკური ელიტის ამა თუ იმ ფრთის აქტიურ ჩარევებს. შესაბამისად, არცთუ იშვიათი იყო სახელმწიფო

ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების მიერ მიღებული სახსრების არამიზნობრივი გამოყენება. თავის მხრივ, რეგიონები ყოველთვის "პოულობდნენ" გამამართლებელ არგუმენტებს: ადგილებზე შექმნილი რთული ოპერატიული სიტუაცია ყოველთვის მოითხოვდა მათგან სახსრების განსაზღვრული მათ შორის დაუგეგმავი მიმართულებებით გადანაწილებას.<sup>2</sup>

აუცილებელია აღინიშნოს საქართველოში წლების მანძილზე რეგიონული და ადგილობრივი პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ეკონომიკური ელიტის ურთიერთობათა შესახებაც. აქ ფართო შესაძლებლობები არსებობდა ჩრდილოვანი ეკონომიკის აქტივობისათვის:

1. აკონტროლებდა რა პოლიტიკური ელიტა საფინანსო და მატერიალურ რესურსებს, გამდიდრების ჩინებული საშუალება ეძლეოდა. საზოგადოებაც თანდათან შეეგუა (თუ შეეგუეს) იმ აზრს, რომ ხელმძღვანელი მუშაკი დეკლარირებული ხელფასით ვერ იცხოვრებდა.

2. არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის პირობებში რეგიონულ და მუნიციპალურ ხელისუფლებას, საწარმოს ადმინისტრაციას, კერძო ბიზნესს ვარიანტების ფართო საშუალება ეძლეოდა განეხორციელებინა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა რაც შეიძლება მეტი მოგების მისაღებად.

3. ჩრდილოვანი ეკონომიკისათვის დიდ შესაძლებლობებს იძლეოდა რეგიონული და მუნიციპალური პროექტების მიხედვით განსახორციელებელი სამუშაოები და შესაბამისად ადგილობრივი ბიუჯეტი გათვალისწინებული სამუშაოთა შემსრულებლების შერჩევა. ამ მხრივ დამუშავებულია სქემები, რომელთა მიხედვითაც გათვალისწინებულია შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის და ხელფასის ხელოვნური გაზრდა, ფასებით მანიპულაცია და სხვა. (მოგვიანებით აღნიშნულის დარეგულირებას ისახავდა მიზნად საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“).

4. ადმინისტრაციების ე.წ. „ჯიბის სტრუქტურები“. ფაქტობრივად ეს იყო პოლიტიკოსთა კერძო ბიზნესი. იყენებდნენ რა სამსახურეობრივ მდგომარეობას, აცოცხლებდნენ საბიუჯეტო სახსრებს უახლოესი ნათესავების სახელზე დაფუძნებული კომერციული სტრუქტურების მეშვეობით.

5. ეკონომიკური სტრუქტურ-

რების მიერ ჩინოვნიკთა მოსყიდვა კრედიტების, ლიცენზიების, შეღავათების და ა. შ. მიღების მიზნით.

6. ადგილობრივი ბიუროკრატიული რეკეტი, ანუ ჩინოვნიკთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების ხელშეწყობის შეწყობა (პასიური პოზიცია, როცა მეწარმეები იძულებული ხდებიან გასწიონ ჩინოვნიკთათვის ფინანსური სტიმულირება) ან კიდევ სახელმწიფო მოხელეების მიერ მეწარმეთაგან გამოძალვა (აქტიური პოზიცია).

7. საკუთრივ არაკანონიერი ბიზნესი, ანუ უშუალო კავშირი კრიმინალურ სტრუქტურებთან და პირადი მოგების მიღება არაკანონიერი საქმიანობისაგან (სათამაშო ბიზნესი, იარაღით, ნარკოტიკებით ვაჭრობა და ა.შ.).

საქართველოში 2003 წელს ნოემბრის მოვლენების და ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებული მასშტაბური სამუშაოების შედეგად მნიშვნელოვანწილად გამოვლინდა ყველა ფაქტორის საკმაოდ ტევადი მასშტაბებით არსებობა და საფუძვლიანობა. გავიხსენოთ თუნდაც აჭარის არ ყოფილი პოლიტიკის კონტრაბანდულ საქმიანობაში და უკანონო მეწარმეობაში მხილება, ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ადმინისტრაციის, საქართველოს კონტროლის პალატის ხელმძღვანელთა გახმაურებული საქმეები, მსხვილი ბიზნეს-ჯგუფების მიერ ბიუჯეტისათვის დამალული შემოსავლები და სხვა. შედეგად ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკური ელიტისათვის ერთბაშად დაინგრა ყოვლისშემძლეობის მითი და ისინი მკაცრი არჩევანის წინაშე დააყენა.

განვიხილოთ საქართველოს რეგიონების ზოგიერთი დარგისა და სფეროს ურთიერთდამოკიდებულება, რისთვისაც ვისარგებლოთ განზოგადებული მაჩვენებლებით (იხ. ცხრილი 1.). ანალიზი ჩატარდა საცალო ვაჭრობასა და მისი ცალკეული ქვედარგების, ასევე პურის ცხოვრების მიხედვით (მეტი სიცხადისათვის მოვიყვანეთ მოსახლეობის რიცხოვნების მაჩვენებლებიც, რამდენადაც ზემოთ აღნიშნულ დარგთა ფუნქციონირება დადებით კორელაციაშია მოსახლეობის რიცხოვნებასთან).

ანალიზმა გვიჩვენა, რომ 2003 წლის ცხრა თვის შედეგების მიხედვით ნატურალურ მაჩვენებლებში (ტონა) საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე პურის ცხოვრება დღეში საშუალოდ მხოლოდ 48,8 გრამი იყო. მაჩვენებელი გაანგარიშებულია წარმოების ფაქტიური დონის მიხედვით. რეალიზაციის მაჩვენებლის გაანგარიშება, რაც არ არის დანერგილი, გაცილებით მაღალ შედეგს მოგვცემდა. რეგიონებში ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გვაქვს იმერეთში (66 გრამი) და გურიაში (75,6), ხოლო ქუთაისში საუკე-

თესო (144 გრ.). თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ იმერეთში ნატურალურ მაჩვენებლებში გამოსახული პურის ცხოვრება თბილისის 45,2%-ს შეადგენდა, 3,8-ჯერ აღემატებოდა აჭარას და 1012,5 ტონით აღემატებოდა შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის მხარეების (საქართველოს 7 რეგიონი) ერთად აღებულ მაჩვენებელს მაშინ, როცა აღნიშნულ რეგიონებში მოსახლეობის საერთო რიცხოვნება 2068 ათასი კაცია, ანუ თითქმის 3-ჯერ აღემატება იმერეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნებას.

უფრო პარადოქსულ სურათს გვაძლევს ქუთაისისა და რეგიონების შედარება. აღმოჩნდა, რომ ქუთაისის პურის ცხოვრების მაჩვენებელი ამ პერიოდისათვის 120 ტონით აღემატებოდა საქართველოს 5 რეგიონის (აჭარის ა.რ., რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი და ქვემო ქართლი) ერთად აღებულ მაჩვენებლებს (!), სადაც მოსახლეობის საერთო რიცხოვნება 7,8-ჯერ აღემატება ქუთაისისას.

მეორე მნიშვნელოვანი სფეროა საწვავითა და საპოხი მასალებით ვაჭრობა. აღმოჩნდა, რომ იმერეთის ხვედრითი წილი ქვეყანაში 14,3%-ია და თბილისის მხოლოდ 24,1%-ს შეადგენდა. თუმცა ერთი შეხედვით ეს მოკრძალებული მაჩვენებელი იმერეთისა 3,8-ჯერ აღემატებოდა აჭარას, 2,3-ჯერ ქვემო ქართლს და 278 ათასი ლარით მეტი იყო, სამეგრელო-ზემო სვანეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის მხარეების (სულ 5 რეგიონი) ერთად აღებული მაჩვენებელი (მოსახლეობის რიცხოვნება ამ რეგიონებში 1520 ათასი კაცია, რაც 2,2-ჯერ აღემატება იმერეთის მოსახლეობას). დაბოლოს, ანალიზის მთავარი ობიექტია საცალო ვაჭრობა, სადაც ასევე კარგად ჩანს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული აღურიცხაობის ფართო მასშტაბები. კერძოდ, 2003 წლის 9 თვეში იმერეთის საცალო ვაჭრობის მოცულობამ 68,4 მლნ. ლარს მიაღწია, რაც 1,2-ჯერ აღემატება აჭარას, 2,6-ჯერ ქვემო ქართლსა და 1,1 მლნ. ლარით მეტია საქართველოს 6 რეგიონის ერთად აღებულ საცალო ვაჭრობის მოცულობაზე (გურია, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი), როცა ამ რეგიონების საერთო მოსახლეობა 1432 ათასი კაცია, რაც 2-ჯერ აღემატება იმერეთის მოსახლეობის რიცხოვნებას.

გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით ჩრდილოვანი ეკონომიკის გათვლას ახდენენ სამი მაჩვენებლით: მოსახლეობის შემოსავლები და ხარჯები, დღგ-დან თავის არიდება და რეგისტრირებული და არარეგისტრირებული უმუშევრობა. რამდენადაც სოცფონდში ჩასარიცხი თანხები ხელფასებს უკავშირდება (ე.წ. „ხელფასის თანხმდები გადასახადები“) და საწყის მონაცემებად შევარჩიეთ რეგიონის მასშტაბით

ცხრილი I.

საქართველოს ცალკეული მხარეების ეკონომიკის ზოგიერთი დარგის 2003 წლის ცხრა თვის სამეურნეო საქმიანობის შედეგები სტატისტიკის სასაქონლო დეპარტამენტის მონაცემებით

რეგიონი	მოსახლეობა ათასი კაცი		საჯალო ფაქტობა (ათასი ლარი)		ბურის ცხობა (ტონა)			საწვავით და საბოხი მასა- ლებით გაჭრობა (ათ. ლარი)		
	სულ	სგ.წილი (%)	სულ	სგ.წილი (%)	ზრდის ტემპი	სგ.წილი (%)	სულზე დღეში	სულ	ზრდის ტემპი	სგ.წილი (%)
საქართველო	4369,6	100,0	528558,3	100,0	92,0	100,0	48,8	165055,6	120,3	100,0
1. თბილისი	1081,7	24,7	298061,8	38,3	89,7	47,8	94,2	98329,4	123,3	59,6
2. აფხაზეთის ა.რ.	-	0,0	-	0,0	-	0,0	-	-	-	0,0
3. აჭარის ა.რ.	376,0	8,6	56268,5	2,5	89,9	5,7	32,3	6237,0	85,6	3,8
4. იმერეთი	699,7	16,0	68398,3	9,1	93,0	21,6	65,9	23647,8	114,9	14,3
ქ. ქუთაისი	186,0	4,3	35326,9	2,2	80,1	12,6	144,7	9496,0	118,9	5,8
5. გურია	143,4	3,3	7873,0	0,7	70,0	5,1	75,6	1917,8	102,6	1,2
6. რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	51,0	1,2	3287,1	0,6	116,7	0,6	25,4	1134,8	139,6	0,7
7. სამეგრელო- ზემო სვანეთი	466,1	10,7	21756,9	1,3	108,4	6,9	31,5	6256,2	95,1	3,8
8. კახეთი	407,2	9,3	17097,1	2,9	119,4	1,0	5,5	4331,9	104,1	2,6
9. მცხეთა- მთიანეთი	125,4	2,9	5590,4	3,0	91,7	1,1	18,7	2133,9	78,9	1,3
10. სამცხე- ჯავახეთი	207,6	4,7	7080,8	4,7	93,3	1,5	15,9	2227,1	186,1	1,3
11. ქვემო ქართლი	497,5	11,4	26364,0	19,1	100,7	3,9	16,9	10418,6	136,7	6,3
12. შიდა ქართლი	314,0	7,2	16780,4	7,8	114,2	4,7	32,1	8421,1	180,9	5,1

ქ. ქუთაისი და 11 ტერიტორიული ერთეული) სოცფონდში მობილიზებული თანხები და ხელფასის ფონდი და შევადგინეთ საწყისი მონაცემები გასაანგარიშებლად (იხ. ცხრილი 2.). თუკი სოცფონდში მობილიზებული სახსრები საბაზო და შესადარ წლებში არის შესაბამისად  $P_0$  და  $P_1$  ( $P_1'$ ,  $P_1''$ ), ხოლო ხელფასის ფონდი  $W_0$  და  $W_1$  ( $W_1'$ ,  $W_1''$ ), ცხრილი 2.

შესაძლებელია გავიანგარიშოთ ამ ფონდში შემოსავლების მობილიზების შესაბამისი დონეები ( $t_i = p_i / w_i$ ). ამ ფორმულის მიხედვით გაანგარიშებული სკაპი შემდეგ მნიშვნელობებს იღებს (იხ. ცხრილი 3). ამრიგად, რამდენადაც  $I_{pc} < 0$ , ადგილი აქვს საგადასახადო კორუფციის დონის კლებას აღნიშნულ პერიოდში.

საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსების (სკაპი) გაანგარიშება სოცდაზღვევის ფონდისათვის იმერეთის რეგიონში 2001-2004 წლებში (ათასი ლარი)

მაჩვენებელი	2001 (საბ.)	2002	2003	2004
სოცფონდში მობილიზებული თანხები	11603,9	13989,6	19977,7	40437,0
	$P_0$	$P_1$	$P_1'$	$P_1''$
ხელფასის ფონდი	43151,1	41000,0	47100,0	60000,0
	$W_0$	$W_1$	$W_1'$	$W_1''$
სოცფონდში შემოსავლების მობილიზების შესაბამისი დონეები	0,269	0,341	0,424	0,674
	$t_0$	$t_1$	$t_1'$	$t_1''$

წყარო: იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის ეკონომიკური განვითარების სამსახური; იმერეთის მხარის სტატისტიკის სამმართველო

როგორც საშემოსავლო გადასახადის ანალიზმა გვიჩვენა, რეგიონებში, მათ შორის იმერეთის რეგიონშიც არსებობს არარეგისტრირებული (ფარული) უმუშევრობის პრობლემა. მისი გამოთვლა რიგ სიძნელეებს უკავშირდება, რამდენადაც ერთის მხრივ რეგისტრირებული უმუშევრები სრულად არ აღირიცხებოდა შრომის ბირჟებზე და მეორის მხრივ ალტერნატიული შემოსავლების წყაროების არსებობის გამო ჩრდილოვან ეკონომიკაში დასაქმებულნი უმეტეს შემთხვევაში არ მოითხოვენ უმუშევრობისათვის შემწეობას და არ რეგისტრირდებიან სათანადო ორგანოებში.

ცხრილი 3.

საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსები სოცდაზღვევის ფონდის (სოციალური გადასახადი) მიმართ იმერეთის რეგიონში

ინდექსი ( $I_{pc}$ )	2002 წელი 2001-თან	2003 წელი 2001-თან	2004 წელი 2001-თან	2004 წელი 2003-თან
	-0,267	-0,576	-1,5	-0,589

ჩვენი გათვლებით, ჩრდილოვანი უმუშევრობის დონე თითქმის მესამედს შეადგენს და 32,8%-ის ტოლია, ხოლო დღგ-ის დასაბეგრი ბაზის გათვალისწინებით, რეგიონში ჩრდილოვანი ეკონომიკის აქტივობა რეგიონისათვის 35,6%-ია.

ჩრდილოვანი ეკონომიკის ძირითადი ასპექტების რეგიონული მიდგომა რიგ სიძნელეებს უკავშირდება. კერძოდ, რეგიონებისათვის არ არსებობს ეროვნულ ანგარიშთა სისტემისათვის და ფულადი აგრეგატებისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები.

ამიტომ შეფასებისას მეზომაჩვენებელთა სისტემას და ექსპერტულ გათვლებს ვეყრდნობით. მომავალში უპრიანი იქნება შემუშავდეს და დაინერგოს ერთობლივი რეგიონული პროდუქტის (ერპ) გამოთვლის მეთოდიკა, როგორც ეს დსთ-ის მრავალ ქვეყანაშია და მომზადდეს შესაბამისი ბაზა ტერიტორიულ ერთეულებში (რეგიონებში) საგადასახადო პასპორტების დასაწერად, ასევე რეგულარული ხასიათი მიეცეს რეგიონებში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების განსაზღვრას და საბიუჯეტო რეზერვების მოძიებას.

ლიტერატურა და წყაროები:

- 1 იხ. ბოლაშვილი პ., მუნიციპალური განვითარების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. თბ. 2000, გვ. 27-33; მოურვიძე დ., რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და პრინციპები გარდამავალ პერიოდში. საქ. ბიზნ. მეცნ. აკადემიის მოამბე, თბ. 1997 №2-3, გვ. 143-146.
- 2 ჩიხლაძე ნ. ჩრდილოვანი ეკონომიკა, რეგიონული ასპექტები. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2005. გვ. 128-133.
- 3 შევარდნაძე კ. და სხვ. საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსები. თბ. „იმპერიალი“, 2000.